განმცხადებელი: თამარ ჯიშკარიანი

თარიღი: 30-01-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 5; პრინციპი 9; პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: primetime.ge

სადავო მასალა: მეგობრებო, კოლეგეო მოგესალმებით. ძალიან არ მინდოდა წუწუნი, მაგრამ თავს ზევით უკვე ძალა აღარ არის. საქართველო-იტალიის საკალათბურთო თამაშზე ხვიჩა კვარაცხელიას ფოტო არის ჩემი გადაღებული, რომლის გამოყენების უფლება ჩემი პირად ვებ-გვერდის გარდა მივეცი, მხოლოდ 2 მედიას, live.ge-სა და მსოფლიო სპორტს. ამის შემდეგ, ყველა მედია აღნიშნულ ფოტოს ატრიალებს როგორც უნდა ისე და რაც ყველაზე ცუდია, ავტორის მითითების გარეშე. პირადად მე, ვარ სპორტული ჟურნალისტი და ვაკეთებ სპორტულ ვებ-პორტალს www.tsff.ge, ენთუზიაზმით და ორი სამსახურიდან შემოსული ხელფასით, ვცდილობ, ეს გვერდი ვასულდგმულო, რადგან საზოგადოებას, არაყურმოკრული, ასჯერ გადამოწმებული ინფორმაცია მივაწოდო ქართულ სპორტზე და სპორტსმენებზე. ვთანამშრობლობ ქართულ ფედერაციებთან, ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთან, 2004 წლიდან სათავეში ვუდგავარ თბილისში, სპორტული ფილმების ფესტივალის, მედია-ტურნირების "ნიამორისა" და "სპორტფოტოს" (ყოველწლიური ფოტო-კატალოგი და გამოფენა) ავტორი. ვარ სპორტული ჟურნალისტი 1988 წლიდან. საქართველოსა და AIPS-ის (სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია) წევრი. წინასწარ მადლობა. იხილეთ ბმული: https://bit.ly/3Y2nFRM

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: პრინციპი 5 - primetime.ge ვალდებულია აიღოს საკუთარი სტატიიდან ჩემს მიერ გადაღებული ფოტო (სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ფოტოს ორიგინალი ვერსიის მოწოდება შემიძლია), მინიმუმ მიუთითოს ავტორი. სამწუხაროდ, ელექტრონული მედიის მხრიდან ხდება, არა მხოლოდ ჩემი, ბევრი სხვა ფოტო-რეპორტიორის უფლების დაღვევა! პრინციპი 9 - კონკრეტულ მედიას, ჩემს მიერ გადაღებული ფოტო გამოყენებული აქვს მარკეტინგული მიზნით, ნახვების გასაზრდელად და რეიტინგის მოსამატებლად, შესაბამისად ფინანსური სარგებლის სანახავად და ამ შემთხვევაში, ვალდებულია, ფოტოს ავტორს, გადამიხადოს პროცენტი (სიმბოლურად თუნდაც, 1 ლარი).არ იქნება ურიგო, ამ კუთხით, განსაკუთრებით, როდესაც ქართველ ფოტოგრაფებზე არის ლაპარაკი და ეს საქმე, ყოველ შემთხვევაში, სპორტში ნაკლებანაზღაურებადია, იყოს დაცული! პრინციპი 11 - პლაგიატობა, როგორც უკვე აღვნიშნე, შემიძლია ორიგინალი ვერსიის და არა მხოლოდ ამ ფოტოსი, მოწოდება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.: ვეთანხმები